

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი

წევრები:

ვარლამ ავალიშვილი

ია გიგიბერია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდებ: **სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **240890755**

სახე:

- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ☒ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ პროფესიული კოლეჯი
- ☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --ნ. ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 09 იანვრის N12 ბრძანების და აღნიშნულ ბრძანებაში 2019 წლის 16 იანვრის N31 ბრძანებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი, ჯგუფის წევრები ვარლამ ავალიშვილი და ია გიგიბერია) 2019 წლის 24 და 25 იანვარს განახორციელა ვიზიტი სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლაში, რომელმაც სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2018 წლის 31 დეკემბერს წარმოადგინა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შექმნილი „ელექტროობისა“ და „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. გარდა აღნიშნულისა ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტს ქალბატონ ია გიგიბერიას დამატებით დაევალა ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება და დასკვნაში ასახვა.

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის N110 გადაწყვეტილებით მიენიჭა „ზეინკალ-სანტექნიკოსის“ და „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --ნ. ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვრა 42 -ით, მათ შორის „ზეინკალ-სანტექნიკოსის“ მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 22, ხოლო „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 20-ით. დაწესებულების მიერ დამატების მიზნით წარმოდგენილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „ელექტროობა“ და „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია“ შექმნილია „ზეინკალ-სანტექნიკოსის“ და „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ პროგრამების ოპტიმიზაციის შედეგად.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად (დანართი 1).

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებლი დოკუმენტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებელი მექანიზმები და სხვა.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გადამოწმდა A, B და C გარემო, დაწესებულების ვებვერდი, ბიბლიოთეკა, საევაკუაციო გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები და სხვა.

ადამიანურ რესურსთან მიმართებაში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, დანიშვნის ბრძანებები და სხვა.

განხორციელდა საწარმოო პრაქტიკის ბაზაზე - შპს „აგარის შაქრის კომპანიაში“ - ვიზიტი. გასაუბრება მოხდა პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან.

დღის ბოლოს ჯგუფის წევრებს შორის ხდებოდა გაწეული მუშაობის შედეგების შეჯერება.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი მიგნებები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

„ელექტროობა“ და „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია“

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☒
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	☐	☒
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	□	■
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	□	■
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	□	■

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.2 . (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ ბ პუნქტი)

- დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი უნდა განახლდეს ყოველწლიურად, დაწესებულების კატალოგი არ განახლებულა 2016 წლის შემდეგ.

  შესაბამისად ქვესტანდარტი 1.2. დარღვეულია;

ქვესტანდარტი 2.6. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/ ვ.ა პუნქტი)

- დაწესებულებაში არ არის დაცული პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება, ცეცხლმაქრები ვადაგასულია. დაწესებულებას არ გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრები), რომელიც ვარგისია გამოყენებისათვის. შესაბამისად ქვესტანდრტი 2.6. დარღვეულია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --ნ. ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ ა პუნქტი)

- **<u>რეკომენდებულია</u>** სასწავლო გეგმაში გაიმიჯნოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები;
- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ იზრუნოს, ორივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის, პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირის დამატებაზე;
- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი;
- **<u>რეკომენდებულია</u>** „პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასებიდან“ ამოიღოს მუხლი 11- „სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში“, ვინაიდან დაწესებულება არ ახორციელებს საგნობრივ პროგრამას.
- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ გაწეროს შეფასების აპელაციის წესი;
- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ განაახლოს ხელშეკრულება შპს „აგარის შაქრის კომპანიასთან“.

ქვესტანდარტი 1.4. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ დ პუნქტი)

- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ თავის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ასევე არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაცია.
- **<u>რეკომენდებულია</u>** შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;

ქვესტანდარტი 1.5. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ ე პუნქტი)

- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ განაახლოს მემორანდუმები/ხელშეკულებები პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტი 1.6. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6/ ვ პუნქტი)

- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესისთვის გამოყენებული კითხვარებისა და სხვა დოკუმენტების ანალიზი, რომლის შედეგებსაც გამოიყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტი 2.6. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/ ვ.ა პუნქტი)

- **<u>რეკომენდებულია</u>** საევაკუაციო გეგმა განთავსდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს ნახაზის წაკითხვა და სკოლის დერეფნის ფლიგელებში (კერძოდ პროფესიული პროგრამების A და B გარემოსათვის განკუთვნილ ფლიგელებში) დამატებით განთავსდეს საევაკუაციო გეგმები.

ქვესტანდარტი 2.8. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/ თ პუნქტი)

- **<u>რეკომენდებულია</u>** საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს ვებგვერდის სისტემატური განახლება, განათავსოს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის, განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ქვესტანდარტი 2.9. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7/ ი პუნქტი)

- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ გადახედოს საკუთარ მისიას და SWOT ანალიზს;
- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ 2018-2019 წ. სამოქმედო გეგმაში გაწეროს შესრულების ვადები თვეების მიხედვით, საჭირო რესურსები, შესრულების ინდიკატორი და რისკები.
- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ აწარმოოს ყოველწლიურად სამოქმედო გეგმის ანგარიში.

ქვესტანდარტი 3.1. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8/ ა პუნქტი)

- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ქვესტანდარტი 3.2. (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8/ ბ პუნქტი)

- **<u>რეკომენდებულია</u>** დაწესებულებამ შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაოს და უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დაამტკიცოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

აღზარდოს განათლებული, კონკურენტუნარიანი, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს ნაზიარები ტოლერანტი მოქალაქე, რომელიც აღჭურვილი იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიური საშუალებების ფლობის უნარ-ჩვევებით; ეყვარება, გაუფრთხილდება და დაიცავს თავისი ქვეყნის ეროვნულ და კულტურულ ფასეულობებს, მატერიალურ და ბუნებრივ რესურსებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და სტუდენტების ინტერესების პრიორიტეტიზაციის გზით, ჩვენი პროფესიული სასწავლებელი იზრუნებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად მოამზადებს მაღალი კვალიფიკაციის პროფესიულ კადრებს, შექმნის პირობებს მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და პროფესიული გადამზადებისათვის და დასაქმებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --ნ. ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლას სურვილი აქვს დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

1. ,,ელექტროობა“
2. „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია“

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა შემდეგი გარემოებები:

საგამანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, თუმცა დარღვეული იყო დამტკიცების პროცედურა კერძოდ, სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტით „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება“ (დამტკ. 2016 წლის 27 აგვისტოს ბრძ. N2-183) მუხლი 2. განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების შემუშავება/ადაპტირებას ახორციელებს სკოლის პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი მუშა ჯგუფთან ერთად ხოლო დამტკიცებას ახორციელებს სკოლის უფლებამოსილი პირი-სკოლის დირექტორი; დასამატებლად წარმოდგენილი პროგრამების დამტკიცების გრიფით პროგრამა შეთანხმებულია სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსთან ოქმი N9 2018 წ. 20 დეკემბერი, რაც არ არის შესაბამისობაში მარეგულირებელ დოკუმენტთან, ვინაიდან სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის წესდების მუხლი 5-ით გაწერილ სამეურვეო საბჭოს ფუნქციებში არ შედის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შეთანხმება. აღნიშნული ვიზიტის პერიოდში ჩასწორდა დირექტორის 2019 წლის 25 იანვრის ბრძ. N2-04 (დანართი 2)

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შექმნილ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია.

<u>სანტექნიკის სისტემის ექსპლუატაციის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა</u>

2018 წლის 21 დეკემბრის ბრძ. N 2-227 დამტკიცებული სანტექნიკის სისტემის ექსპლუატაციის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში 2019 წლის 10 იანვრის ბრძ. N2-01-ით შეტანილია ცვლილება, ცვლილებით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების“ ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 040691). მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სიტემების ექსპლუატაციაში/third level vocational qualification in plumbing. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 78 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვისათვის - 93 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 1,5 წელი; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 1,8 წელი. საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 35 საათს.

- სანტექნიკის სისტემის ექსპლუატაციის საგანმანათლებლო პროგრამა არ იყო სრულად ადაპტირებული, საგანმანათლებლო პროგრამის მე-6 პუნქტით გაწერილ დასაქმების შესაძლებლობებში, ჩარჩენილი იყო მე-4 საფეხურის (წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია და წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია) კვალიფიკაციისათვის განკუთვნილი დასაქმების შესაძლებლობები, კერძოდ **სამოქალაქო ინჟინერიის ტექნიკოსი;**
  ასევე **„საქსტატის ეკონომიკური საქმიანობის სახეები - 36.00.0 წყლის დაგროვება, დამუშავება და განაწილება - ქვეკლასი შეიცავს:**
  - **წყლის გაწმენდას წყალმომარაგების მიზნით**
  - **წყლის დამუშავებას სამრეწველო და სხვა მიზნებისათვის“**

  აღნიშნული გასწორდა და ამოღებული იყო საგანმანათლებლო პროგრამიდან ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2019 წლის 25 იანვრის ბრძ.N2-03 (დანართი 3).

- 2018 წლის 21 დეკემბრის ბრძ. N2-227 და 2019 წლის 10 იანვრის ბრძ. N2-01 შეტანილი ცვლილებების თანახმად დამტკიცდა „სანტექნიკის სისტემის ექსპლუატაციის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სასწავლო გეგმის და განმახორციელებელი პერსონალის სია დანართის შესაბამისად“, საგანმანათლებლო პროგრამაში არ შედის დანართი 1-4-განმახორციელებელი პერსონალის სია, შესაბამისად დანართი 1-4 უნდა ქონოდა დამტკიცების გრიფი, რომელიც არ გააჩნდა, აღნიშნული გარემოება გასწორდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში.
- სასწავლო C გარემო მოდელის ზოგად აღწერაში ჩარჩენილი იყო ჩანაწერი **სპეციფიკური სასწავლო გარემო საერთო შენობაში ან ცალკე მდგომი შენობა.** დაწესებულებამ აღნიშნული გარემოება გაასწორა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, დირექტორის 2018 წლის 25 დეკემბრის ბრძ.N2-03 (დანართი 3) და C გარემოდ დარჩა ცალკე მდგომი შენობა.
- საერთო პროფესიულ/დარგობრივ მოდულში - **კომპანიის მოთხოვნები და საინფორმაციო ბაზები-** არ იყო ადაპტირებული საათობრივი დანაწილება (ცენტრის მიერ დამტკიცებულ პაკეტში მოცემული მოდული არ ითვალისწინებდა შეფასების საათს, შესაბამისად დაწესებულებასაც არ ქონდა ამ ნაწილში ცვლილება გაკეთებული), აღნიშნული ვიზიტის პერიოდში გასწორდა და მოდულის შეფასებისთვის გამოიყო დრო. სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათებისაგან არ არის გამოყოფილი დამოუკიდებელი საათები, რაც ართულებს განმახორციელებელი პირის კვირეული დატვირთვის განსაზღვრას, საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი 15 საერთო პროფესიულ/დარგობრივი და პროფესიულ/დარგობრივი მოდულიდან ყველა მოდულს ჰყავს ერთი განმახორციელებელი პირი, საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა გათვლილია 65 კვირაზე პირველი მიღების საგანმანათლებლო პროგრამას 26-ე კვირიდან ემატება მეორე მიღების საგანმანათლებლო პროგრამა და განმახორციელებელი პირის კვირული დატვირთვა საშუალოდ 55სთ შეადგენს. სასურველია საკონტაქტო საათებისაგან გამოყოფილი იყოს დამოუკიდებელი საათები, რაც ხელს შეუწყობს სწავლების უკეთ დაგეგმვას.

ელექტროობის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „ელექტროობის“ ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 040569). მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში/Third level vocational qualification in electricity. პროგრამის მოცულობა შეადგენს ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 52 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვისათვის - 67 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 1 წელი; არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 1,3 წელი. საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, დაცულია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების წინაპირობები და გათვალისწინებულია შესაძლო სწავლის შედეგების აღდგენის ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არ აღემატება 35 საათს.

- 2018 წლის 21 დეკემბრის ბრძ. N2-226 თანახმად დამტკიცდა „ელექტროობის საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სასწავლო გეგმის და განმახორციელებელი პერსონალის სია დანართის შესაბამისად“, საგანმანათლებლო პროგრამაში არ შედის დანართი 1-4-განმახორციელებელი პერსონალის სია, შესაბამისად დანართი 1-4 უნდა ქონოდა დამტკიცების გრიფი, რომელიც არ გააჩნდა, აღნიშნული გარემოება გასწორდა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში.
- სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათებისაგან არ არის გამოყოფილი დამოუკიდებელი საათები, რაც ართულებს განმახორციელებელი პირის კვირეული დატვირთვის განსაზღვრას, საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი 9 საერთო პროფესიულ/დარგობრივი და პროფესიულ/დარგობრივი მოდულიდან 8 მოდულს ყავს ერთი განმახორციელებელი პირი, საგანმანათლებლო პროგრამა გათვლილია 42 კვირაზე პირველი მიღების საგანმანათლებლო პროგრამას 26-ე კვირიდან ემატება მეორე მიღების საგანმანათლებლო პროგრამა და განმახორციელებელი პირის კვირული დატვირთვა საშუალოდ 55სთ შეადგენს. სასურველია საკონტაქტო საათებისაგან გამოყოფილი იყოს დამოუკიდებელი საათები, რაც ხელს შეუწყობს სწავლების უკეთ დაგეგმვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --ნ. ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლას ორივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოდგენილი ქონდა 2016 წელს გაფორმებული **<u>ერთწლიანი</u>** ხუთმხრივი (ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შპს „აგარის შაქრის კომპანიის“ და სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის) ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელსაც მოქმედების ვადა უკვე ამოწურული აქვს. დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა შპს „აგარის შაქრის კომპანიასთან“ 2016 წლის 8 სექტემბერს გაფორმებული 5 წლიანი ხელშეკრულებები N155/2 და N156/2 (დანართი 4 და დანართი 5), რომლებშიც გაწერილია რომ კომპანია უზრუნველყოფს მის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით, სკოლის „ზეინკალ-სანტექნიკოსის“ და „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის მოდულების: „სასწავლო პრაქტიკის“, „საწარმოო პრაქტიკის“ და „პრაქტიკული პროექტის“ შესაბამის სწავლის შედეგების მიღწევის და მათი დადასტურების შესაძლებლობას, <u>დაწესებულებას არ შეუტანია ცვლილებები შპს „აგარის შაქრის კომპანიასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებებთან მიმართებით,</u> თუმცა აღსანიშნავია, რომ „ელექტროობის“ და „სანტექნიკის სისტემის ექსპლუატაციის“ საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენს „ზეინკალ-სანტექნიკოსის“ და „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებულ ვარიანტს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის და შპს „აგარის შაქრის კომპანიის“ მიერ მოხდა სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ორივე პროგრამისთვის C გარემოს სრული ადაპტირება, მოწყობლი სახელოსნოები სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკის ადგილზე გავლის შემთხვევაში უნარების შეუფერხებელ ტრანსფერს რეალურ საწარმოო გარემოში.

შპს „აგარის შაქრის კომბინატში“ განხორციელებული ვიზიტის დროს კომბინატის წარმომადგენელმა სრული მზადყოფნა გამოხატა პროფესიული სტუდენტების მისაღებად, პრაქტიკის ბაზას აქვს შესაძლებლობა ერთდროულად მიიღოს „ელექტროობის“ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის 10 და „სანტექნიკის სისტემის ექსპლუატაციის“ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის 11 პროფესიული სტუდენტი. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს მთელი პრაქტიკის განმავლობაში მიყვებიან სკოლის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებენ მათ კონტროლს და შეფასებას, ასევე კომპანიის მხრიდან გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც პრაქტიკის ობიექტზე შესვლამდე პროფესიულ სტუდენტებს აცნობს უსაფრთხოების წესებს.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისადმი გადაგზავნილი 2018 წლის 25 დეკემბრის N7 მემორანდუმი და ქ. ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2019 წლის 16 იანვრის MES 4 19 00036169 შუამდგომლობა (დანართი 6), საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორისადმი სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლასთან სანტექნიკის სისტემის ექსპლუატაციის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით მემორანდუმის გაფორმების შესახებ.

- დაწესებულებას მარეგულირებელ დოკუმენტში „სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება“ (დამტკ. დირექტორის ბრძ.N2-183 27.08. 2016 წ.)მუხლი „2“. გაწერილი აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/ადაპტაცია, დამტკიცება“, დაწესებულებას სანტექნიკის სისტემის ექსპლუატაციის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში 2019 წლის 10 იანვრის ბრძ. N2-01-ით შეტანილი აქვს ცვლილება თუმცა <u>არა აქვს შემუშავებული პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურა.</u>
- სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასება“ (დამტკ. დირექტორის ბრძ.N03 18.02. 2016 წ.), აღნიშნულ წესში გაწერლია მუხლი 11. სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, თუმცა <u>დაწესებულებას საგნობრივი პროგრამა არ განუხორციელებია.</u> დაწესებულებას არა აქვს <u>შემუშავებული შეფასების აპელაციის პროცედურა.</u>

საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა: (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა
	არა	

<u>რეკომენდაციები:</u>

- სასწავლო გეგმაში გაიმიჯნოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები;
- დაწესებულებამ იზრუნოს, ორივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის, პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირის დამატებაზე;
- დაწესებულებამ შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი;
- „პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასებიდან“ ამოიღოს მუხლი 11- „სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში“, ვინაიდან დაწესებულება არ ახორციელებს საგნობრივ პროგრამას.
- დაწესებულებამ გაწეროს შეფასების აპელაციის წესი;
- დაწესებულებამ განაახლოს ხელშეკრულება შპს „აგარის შაქრის კომპანიასთან“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სკოლის წესდებით;
- დაბა აგარის საჯარო სკოლის -„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებით“ (დამტკ. 2016 წლის 27 აგვისტოს ბრძ. N2-183);
- პროფესიული პროგრამებით;
- ხელშეკრულებებით;
- პროფესიული პროგრამების დამტკიცების ბრძანებებით;
- სკოლის დირექტორის ბრძანებებით;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებით“;
- „პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასებით“

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ----- 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის ვებ-გვერდზე http://agara.edu.ge განთავსებულია 2016 წლის კატალოგი. კატალოგში მოცემულია ინფორმაცია სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის, „ზეინკალ-სანტექნიკოსის“ და „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შეფასების წესის და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ. **კატალოგი 2016 წლის შემდეგ არ არის განახლებული.**

ხარვეზი

- დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი უნდა განახლდეს ყოველწლიურად, დაწესებულების კატალოგი არ განახლებულა 2016 წლის შემდეგ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის *http://agara.edu.ge* ვებ-გვერდით და მასზე განთავსებული კატალოგით;

შეფასება:
☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამებით;
- ჩარჩო დოკუმენტებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ 2016 წლის 27 აგვისტოს ბრძ. N2-183 დამტკიცებულია „პროფესიული სწავლების მარეგულირებელი წესები“, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ასევე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურა, **სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი არ მოიცავს არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციას.** კერძოდ, ვინ აწერს ხელს ხელშეკრულებს, რა დოკუმენტებია საჭირო არასრულწლოვანი სტუდენტის პირადი საქმისთვის და რა დოკუმენტით უნდა ხდებოდეს არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლობის დადასტურება. რეგულაციებში არ არის ასახული **უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების პროცედურა.**

სკოლის წარმომადგენლის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას არ ჰქონია შიდა ან გარე მობილობის შემთხვევები, რისთვისაც საჭირო გახდებოდა კრედიტების აღიარება ან/და ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, ასევე არ ყოლია არაქართულენოვანი სტუდენტები, დაწესებულებას **არა აქვს გაწერილი ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცედურა.**

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა კოლეჯის რეესტრი, evet.emis.ge-ს ბაზაში, რითაც ირკვევა, რომ დაწესებულება რეესტრში ასახავს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერების და შეწყვეტის შესახებ.

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ თავის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის N147 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ასევე არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაცია.
- შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის „პროფესიული სწავლების მარეგულირებელი წესებით“;
- პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიურებით;
- Evet.emis.ge

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„პროფესიული სწავლების მარეგულირებელი წესების“ (დამტკ. 27.08.2016 წ. ბრძ. N2-183) მიხედვით სკოლა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას სკოლაში განსახორციელებელ სხვა მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. სკოლაში მონათესავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არარსებობის შემთხვევაში, სკოლა პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები კოლეჯებთან:

1. სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ზეინკალ სანტექნიკოსი“- მემორანდუმი N1; 01. 08.2016წ. (დანართი 7)
2. სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი“- მემორანდუმი N2; 01. 08.2016წ. (დანართი 8)
3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ზეინკალ სანტექნიკოსი“- მემორანდუმი N3 23.08.2016წ. (დანართი 9)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თუმცა <u>დაწესებულებას არ გაურკვევია ახორციელებენ თუ არა აღნიშნული კოლეჯები მოდიფიცირებულ „ელექტროობისა“ და „სანტექნიკის სისტემის ექსპლუატაციის“ საგამანათლებლო პოგრამემებს და არ შეუტანია ცვლილებები მემორანდუმებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებებთან მიმართებით.</u>

<u>რეკომენდაცია:</u>

- დაწესებულებამ განაახლოს მემორანდუმები/ხელშეკულებების პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის „პროფესიული სწავლების მარეგულირებელი წესებით“;
- მემორანდუმებით ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის დირექტორის 2016 წლის 27 აგვისტოს N2- 183 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება“, რომელიც ეფუძნება „დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-შეასწორე“ ციკლს და რომლის თანახმად სისტემის ფარგლებში ხორციელდება მუდმივი შიდა მონიტორინგი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში შიდა მონიტორინგის ყველა აქტივობა თითოეული პროგრამისთის უნდა განხორციელდეს დადგენილი პერიოდულობით ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.
დაწესებულებას ბრძანებით განსაზღვრული ყავს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ესწრება ლქციებს, დაწესებულებამ წარმოადგინა საკონტაქტო საათებზე დასწრების კითხვარები; მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმები სადაც განხილული იყო ლექციებზე დასწრების შედეგები და გაცემული იქნა რეკომენდაციები განმახორციელებელი პირების მიმართ, წარმოდგენილი იყო ასევე პროფესიული სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვის კითხვარები, თუმცა არ ქონდათ ანალიზის დოკუმენტი.

<u>რეკომენდაცია:</u>

- დაწესებულებამ მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესისთვის გამოყენებული კითხვარებისა და სხვა დოკუმენტების ანალიზი, რომლის შედეგებსაც გამოიყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ- ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებით;
- გამოკითხვის ფორმებით;
- გამოკითხვის კითხვარებით;
- საკონტაქტო საათებზე დასწრების კითხვარებით;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - ქარელს მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სარგებლობს დაბა აგარაში, დ.აღმაშენებლის ქ. N8-ში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთით საერთო ფართით 10901.00 კვ.მ. სადაც განთავსებული №1 შენობის (3 სართულიანი საჯარო სკოლის შენობა) საერთო ფართი შეადგენს 2938.48 კვ.მ-ს; №2 სახელოსნოს შენობის საერთო ფართი შეადგენს 131.58 კვ.მ. (სადაც განთავსებულია 45,1 კვ.მ და 31,5 კვ.მ ფართის 2 სასწავლო სახელოსნო) და №3 სახელოსნოს შენობის საერთო ფართი შეადგენს 34.56 კვ.მ. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აგრეთვე განთავსებულია სხვადასხვა დანიშნულების დამხმარე ნაგებობები (საქვაბე და სველი წერტილები).

1. №1 შენობაში (3 სართულიანი საჯარო სკოლის შენობა) პირველ სართულზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მოწყობილია (A გარემო) სასწავლო ფართით 48,4 კვ.მ.
2. №1 შენობაში (3 სართულიანი საჯარო სკოლის შენობა) მეორე სართულზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მოწყობილია (B გარემო) სასწავლო ფართით 48,7 კვ.მ.
3. №2 სახელოსნოს შენობაში „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია სასწავლო სახელოსნო (C გარემო), საერთო ფართით 31,5 კვ.მ.
4. №2 სახელოსნოს შენობაში „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია სასწავლო სახელოსნო (C გარემო), საერთო ფართით 45,1 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქარელის მუნიციპალიტეტი, დაბა აგარა.	10901,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	დავით აღმაშენებლის ქ. N8	2938.48 კვ.მ საჯარო სკოლის შენობა; 131,58 კვ.მ.- №2 სახელოსნოს შენობა; 34,56 კვ.მ.- №3 სახელოსნოს შენობა

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- საკადასტრო გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლას მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას.

1. №1 შენობაში (3 სართულიანი საჯარო სკოლის შენობა) პირველ სართულზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მოწყობილია შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი (A გარემო) სასწავლო ფართი 48,4 კვ.მ, სადაც განთავსებულია მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი), კომპიუტერი (ლეპტოპი) მასწავლებლისათვის, პროექტორი, ეკრანი, დაფა და სტუდენტების სამუშაო ადგილი - 11 მაგიდა და ამდენივე სკამი.
2. №1 შენობაში (3 სართულიანი საჯარო სკოლის შენობა) მეორე სართულზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის მოწყობილია შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი (B გარემო) სასწავლო ფართი 48,7 კვ.მ, სადაც განთავსებულია მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი), კომპიუტერი (ლეპტოპი) მასწავლებლისათვის, პროექტორი, ეკრანი, დაფა და სტუდენტების სამუშაო ადგილი - 13 კომპიუტერი 13 პროფესიულ სტუდენტზე.

3. №2 სახელოსნოს შენობაში „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია სასწავლო სახელოსნო (C გარემო), საერთო ფართით 31,5 კვ.მ. მასში განთავსებულია პრაქტიკული სამუშაო ადგილი 10 პროფესიულ სტუდენტზე (10 მაგიდა და ამდენივე სკამი), დაფა, მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) და კომპიუტერი (ლეპტოპი), ასევე შესაბამისი აღჭურვილობა პროფესიული/დარგობრივი მოდულების განხორციელებისათვის.

4. №2 სახელოსნოს შენობაში „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია სასწავლო სახელოსნო (C გარემო), საერთო ფართით 45,1 კვ.მ. მასში განთავსებულია პრაქტიკული სამუშაო ადგილი 11 პროფესიულ სტუდენტზე (11 მაგიდა და ამდენივე სკამი), დაფა, მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) და კომპიუტერი (ლეპტოპი), ასევე შესაბამისი აღჭურვილობა პროფესიული/დარგობრივი მოდულების განხორციელებისათვის.

სასწავლო აუდიტორია (A გარემო), კომპიუტერული კლასი (B გარემო) და სახელოსნოები (C გარემო) სრულად არის აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარის შეძენის დოკუმენტაციით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო: ორივე აუდიტორიაში, კომპიუტერების ოთახში და სახელოსნოსთვის განკუთვნილ შენობაშიც არის ბუნებრივი განათების საშუალება, აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, დაწესებულებას სს „ენერგო-პრო-ჯორჯიასთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, მინიჭებული აქვს აბონენტის ნომერი და ყოველთვიურად ხდება გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა.

დაწესებულებას გააჩნია სველი წერტილები, რომელიც არის მოწესრიგებული, უზრუნველყოფილია წყალგაყვანილობით, დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებას შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, მინიჭებული აქვს აბონენტის ნომერი და ყოველთვიურად იხდის გახარჯულ წყლის გადასახადს;

კოლეჯი გაზიფიცირებულია, გაყვანილია ცენტრალური გათბობა. გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს სოკარ ჯორჯია გაზთან, მინიჭებული აქვს აბონენტის ნომერი და ყოველთვიურად იხდის გახარჯული გაზის გადასახადს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით და ხელშეკრულებებით;*

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური ისე ელექტრონულ მატარებელზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№2-185; 27.08.2016); ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე.

ბიბლიოთეკაში არის 25 703 ერთეული წიგნი, აქედან 44 წიგნი პროფესიული პროგრამების ლიტერატურაა , 9 813 მხატვრული ლიტერატურაა და 15 846 სასკოლო ლიტერატურა.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში შერჩევითად იქნა გადამოწმებული მოდულში მითითებული ლიტერატურა.

წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. წიგნადი ფონდი თაროებზე განლაგებულია ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისა და სახელმძღვანელოების რეგისტრაცია ხდება რეგისტრაციის ჟურნალში.

ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი და ქსეროქსი, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებს. ბიბლიოთეკას გააჩნია ბუნებრივი განათება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით;
- სახელმძღვანელოების რეგისტრაციის ჟურნალით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- საგანამანათლებლო პროგრამებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლას სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი აქვს 23 კომპიუტერი, 3 კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი) სასწავლო პროცესის და სკოლის მართვისათვის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს 3 კომპიუტერი და 1 კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი), რომლებიც განთავსებულია სამასწავლებლოში და ადმინისტრაციის ოთახში, დანარჩენი ტექნიკიდან 13 კომპიუტერი, 2 ლეპტოპი და 2 პროექტორი გადანაწილებულია პროფესიული სტუდენტებისათვის გამოყოფილ სასწავლო აუდიტორიაში, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ თანამშრომლებსა და სტუდენტებს საჭიროებისამებრ.

დაწესებულებას სსიპ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს ინტერნეტით. სკოლა სარგებლობს ასევე უკაბელო ინტერნეტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. დაწესებულების აქტები და ოფიციალური წერილები ფორმდება სპეციალურ ბლანკზე, დოკუმენტაციების აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია და ბეჭედდასმულია.

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლას 2016 წლის 27 აგვისტოს N2-185 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების დებულება; სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: შემოსული დოკუმენტაცია; გასული დოკუმენტაცია; შიდა დოკუმენტაცია; მმართველობითი ხასიათის დოკუმენტაცია (ბრძანებები, მივლინებები და ა.შ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.
სკოლა დოკუმეტბრუნვას ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანების შესაბამისად- eflow სისტემის გამოიყენებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების დებულებით;
- რეგისტრაციის ჟურნალებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --  -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შემუშავებულია:

ა) ,,ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, წესრიგის დაცვის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“ (დირექტორის ბრძანება N03; 18.01.2016წ.)

ბ) სკოლაში გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც შემუშავებულია შპს „ქორსიარდ“ 2016 წ. 27 სექტემბრის N26 ხელშეკრულების საფუძველზე. საევაკუაციო გეგმა გამოკრულია სიმაღლეზე, რაც ხელს უშლის მხედველობის ზონაში მოხვედრას. საევაკუაციო გეგმა არ არის გამოკრული ფლიგელში სადაც A და B გარემოა განთავსებული, თუმცა დერეფნებში გვხვდება გადაადგილების მიმანიშნებელი ისრები, განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები ცეცხლმაქრებით, რომელთა დამუხტვის ვადაც მიმდინარე პერიოდისთვის გასულია და უვარგისია გამოსაყენებლად.

<u>დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში 25.01.2019 წ წარმოადგინა შპს „დელტას“ მიერ ცეცხლმაქრების დამუხტვის ინვოისი (დანართი 10), თუმცა ვიზიტის დროს ვერ მოესწრო ცეცხლმაქრების დამუხვა;</u>

გ) დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ექიმთან, გამოყოფილია ოთახი/სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია 2 სამედცინო მაგიდით, სამედიცინო საწოლით, საკაცით, სამედიცინო კარადით, მედიკამენტების მაცივრით, სამედიცინო ოთახი უზრუნველყოფილია ცხელი და ცივი წყლით, პირველადი დახმარების აღმოსაჩენის შესაბამისი ინვენტარითა და გამოსაყენებლად ვარგისი პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტებით. ასევე ორივე სახელოსნოში განთავსეულია სამედიცინო დახმარების ყუთი; ყველა მედიკამენტს აქვს ვარგისიანობის ვადა;

დ) სკოლაში წესრიგს იცავს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, სკოლას ასევე ჰყავს დაცვის თანამშრომლები, რომლებთანაც გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები, დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო კამერები.

<u>ხარვეზი</u>

- დაწესებულებაში არ არის დაცული პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება, ცეცხლმაქრები ვადაგასულია. დაწესებულებას არ გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრები), რომელიც ვარგისია გამოყენებისათვის.

<u>რეკომენდაცია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საევაკუაციო გეგმა განთავსდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს ნახაზის წაკითხვა და სკოლის დერეფნის ფლიგელებში (კერძოდ პროფესიული პროგრამების A და B გარემოსათვის განკუთვნილ ფლიგელებში) დამატებით განთავსდეს საევაკუაციო გეგმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, წესრიგის დაცვის და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით“
- საევაკუაციო გეგმით;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- დირექტორის პასუხისმგებელ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლა განთავსებულია სამსართულიან შენობაში, შენობის შესასვლელში მოწყობილია რკინა-ბეტონის გადახურული მოაჯირიანი პანდუსი, სართულებს შორის ასაკეცი ხის პანდუსებია. პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი A გარემო და ბიბლიოთეკა განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე, B გარემო განთავსებულია სკოლის მეორე სართულზე სადაც შშმ და შშმ პირებს შეუძლით ხის პანდუსით მოხვედრა, C გარემო განთავსებულია სკოლის ეზოში ცალკე მდგომ შენობაში, რომელიც ასევე უზრუნველყოფილია ბეტონის პანდუსით, აქვეა განთავსებული ადაპტირებული სველი წერტილიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლას 2018 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული აქვს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან ვებგვერდის 5 გბ მოცულობის ჰოსტინგის შესყიდვასთან დაკავშირებით, ვებგვერდი - www.agara.edu.ge ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას, ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისამართი, ელ.ფოსტა, ტელეფონი, წერილის გასაგზავნი ველი;

ვებგვერდზე განთავსებულია მარეგულირებელი დოკუმენტები; სტრუქტურა (ორგანოგრამა); დაწესებულების მისია განთავსებულია რუბრიკაში სკოლის შესახებ, ვებგვერდზე განთავსებულია სტუდენტის გზამკვლევი, დიპლომის შაბლონი, 2017 წლის საგაზაფხულო მიღების სალექციო ცხრილი, 2016-2022 წლის სტრატეგიული გეგმა; 2016-2017წ და 2018-2019 წ სამოქმედო გეგმა; 2016 წლის კატალოგი, შესაბამისად არ არის ინფორმაცია დასამატებელი პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის, განხორციელებული აქტივობების შესახებ; ვებგვერდის ახალ ამბებში გვხვდება მხოლოდ ორი ინფორმაცია: 2017

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის 06 ივნისს გამოცხადებული პროფესიულ სტუდენტთა მიღების და 2018 წლის 13 ივლისს შპს აგარის შაქრის კომპანიაში საწარმოო პრაქტიკის გავლის შესახებ.

<u>რეკომენდაცია</u>

- საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს ვებგვერდის სისტემატური განახლება, განათავსოს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის, განხორციელებული აქტივობების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაბა აგარის საჯარო სკოლის ვებ-გვერდი - www.agara.edu.ge

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ-ქარელის მუნიციპატიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ვერ ასახავს „პროფესიული განათლების შესახებ“ დეკლარირებულ პროფესიული განათლების მიზნებს და ვერც მათ შესრულებაზე იქნება ორიენტირებული. დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, დამტკიცებული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ თუმცა გეგმები არ გამომდინარეობს მისიიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება 2016 წლის SWOT ანალიზს, რომელიც გადასახედია, 2018-2019 წ. სამოქმედო გეგმა სასურველია მოიცავდეს შესრულების ვადებს თვეების მიხედვით, საჭირო რესურსებს, შესრულების ინდიკატორს და რისკებს.

დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

<u>**დაწესებულებას არა აქვს სამოქმედო გეგმის ანგარიშები.**</u>

<u>რეკომენდაცია</u>:

- დაწესებულებამ გადახედოს საკუთარ მისიას და SWOT ანალიზს;
- დაწესებულებამ 2018-2019 წ. სამოქმედო გეგმაში გაწეროს შესრულების ვადები თვეების მიხედვით, საჭირო რესურსები, შესრულების ინდიკატორი და რისკები.
  დაწესებულებამ აწარმოოს ყოველწლიურად სამოქმედო გეგმის ანგარიში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-ქარელის მუნიციპატიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის მისიით;
- განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმით;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --  -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამისობაშია და აკმაყოფილებს თანამდებობრივ უფლებამოსილებებს.

დაწესებულებას აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დამტკიცებული საშტატო განრიგი (24 მაისი 2018 წ), რომელიც მოიცავს სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის საშტატო ნუსხას, სკოლაში შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობების დასახელებას და რაოდენობას. სკოლის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში შედის 5 პერსონალი (დამლაგებელი, დარაჯი, ცეცხლფარეში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, სკოლის ექიმი), ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული და საქართველოს კანონმდებლობით ნებართული სხვა შემოსვლებიდან მიღებული დაფინანსების ფარგლებში 11 პერსონალი (10 მასწავლებელი და 1 დამლაგებელი).
დაწესებულებას არა აქვს გაწერილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
დაწესებულების პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

<u>რეკომენდაცია:</u>

- დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2016 წლის 26 აგვისტოს N2-181 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/პირადი საქმეებით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების გადამოწმების საფუძველზე დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის თანაფარდობა შემდეგ სურათს იძლევა - დაწესებულება საავტორიზაციო განაცხადით ითხოვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ 2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც განახორციელებს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამების ჩამონათვალის მიხედვით იგეგმება 42 პროფესიული სტუდენტის მიღება, შესაბამისად პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობაა 42/9

<u>ვიზიტის დროს პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:</u>

პროფესიული მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების შესახებ, იციან მოდულური პროგრამების განხორციელების მიდგომები, სწავლების და შეფასების მეთოდები. აქვთ გაკეთებული შეფასება , <u>თუმცა არ აქვთ შეფასების ინსტრუმენტი დამოწმებული უფლებამოსილი პირის მიერ</u> (ვერიფიკაცია).

<u>რეკომენდაცია:</u>

- დაწესებულებამ შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაოს და უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დაამტკიცოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- საგანმანათლებლო პროგრამების დანართით 1-4;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზების/რეესტრის მონაცემებით;
- ინტერვიუებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების შინაგანაწესის (დამტკ. დირექტორის ბრძ.N03 18.01.2016წ), თავი 4. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, მუხლი „7“, პუნქტი „2“ სკოლას გაწერილი აქვს პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცედურა: პროფესიულ მასწავლებელთა შერჩევა ხდება კონკურსის საშუალებით ან/და გასაუბრებით. სკოლის პროფესიული მასწავლებლების შერჩეულია გასაუბრების წესით.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. დაწესებულების შინაგანაწესის მუხლი „11“. ზეგანაკვეთური სამუშაო განსაზღვრულია „ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. დასაქმებული თანხმობით შესაძლებელია ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ მისთვის დამატებითი დასვენების დროის მიცემა“ თუმცა პროფესიული მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავდა შრომის კოდექსის მე-6 მუხლის არსებით პირობას ზეგანაკვეთური ანაზღაურების შესახებ, რაც ექსპერტების ვიზიტის პერიოდშივე ჩასწორდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- შინაგანაწესით, დამტკიცებული დირექტორის ბრძ.N03 18.01.2016წ.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტების ათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ელექტროობა	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	52	67	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა. დ.აღმაშენებელის ქ.N8	0	20
2	სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში 040691	78	93	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა. დ.აღმაშენებელის ქ.N8	0	22

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. დირექტორის 2019 წ. 25 იანვრის ბრძ.N2-04;
დანართი 3. დირექტორის 2019 წ. 25 იანვრის ბრძ.N2-03;
დანართი 4. ხელშეკრულება N156/2; შპს „აგარის შაქრის კომპანიასთან“
დანართი 5. ხელშეკრულება N155/2; შპს „აგარის შაქრის კომპანიასთან“
დანართი 6.საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან გაგზავნილი მემორანდუმი N7 და ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი 7. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ლაკადასთან“ გაფორმებული მემორანდუმი N1
დანართი 8. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ლაკადასთან“ გაფორმებული მემორანდუმი N2
დანართი 9. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ~ „აისთან“ გაფორმებული მემორანდუმი N3
დანართი 10.ინვოისი ცეცხლმაქრების გადამუხტვის საფასურის შესახებ

21.02.2019 წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --ნ. ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: